საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №53

ქ. ბათუმი 29 ივნისი, 2017 წ.

ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ტექნიკის მექანიკოსი“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გიზო ფარცხალაძის მოხსენებითი ბარათის (MES 5 17 00745453, 27.06.2017) და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№10, 11.05.2017) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ–ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა **„აგრარული ტექნიკის მექანიკოსი“**.
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და შესაბამის საფაკულტეტო სამსახურებს.
3. დაევალოს ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს უზრუნველყონ წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისათვის რექტორის მოადგილესთან (თამარ სირაძე) შეთანხმებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**